სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამის სახელწოდება (ქართულად და ინგლისურად)	**ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება** Organization transformation and Consulting
მისანიჭებელი კვალიფიკაცია (ქართულად და ინგლისურად)	**სოციალური მეცნიერებების მაგისტრი** Master of Social Sciences
პროგრამის მოცულობა კრედიტებით და მათი განაწილება	სამაგისტრო პროგრამა მოიცავს **120 კრედიტს (ECTS),** მათ შორის: • **პროგრამის სავალდებულო სასწავლო კურსები: 75 კრედიტი** • **სამაგისტრო ნაშრომი** (სავალდებულო): **30 კრედიტი** • **პროგრამის არჩევითი სასწავლო კურსები: 15 კრედიტი** **სწავლების სემესტრი:** ოთხი, აქედან სამი სემესტრი ეთმობა სამაგისტრო პროგრამის სასწავლო კურსების გავლას, ხოლო მეოთხე სემესტრი სამაგიტრო ნაშრომის მომზადებას და დაცვას.
სწავლების ენა	ქართული
პროგრამის ხელმძღვანელები **კოორდინატორი**	**ნოდარ ბელქანია,** ფსიქოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი (თსუ) **ფრიდრიხ გლაზლი,** ფსიქოლოგიის და პოლიტოლოგიის დოქტორი, პოფესორი (ზალცბურგის უნივერსიტეტი) ნოდარ ბელქანია, პროფესორი
პროგრამაზე დაშვების წინაპირობა	სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე **დაშვების წინაპირობას** წარმოადგენს: • ნებისმიერი სპეციალობის ბაკალავრის ხარისხი ან მასთან გათანაბრებული ხარისხის ფლობა[1]; • საერთო სამაგისტრო გამოცდა; • უცხოური ენის, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე (შესაბამისი სერთიფიკატი ან საუნივერსიტეტო გამოცდა);

[1] სამაგისტრო პროგრამის ინტერდისციპლინურობიდან გამომდინარე, საგანმანათლებლო პროგრამაზე დასაშვებია სხვადასხვა სფეროს ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული ხარისხის მქონე პირთა მიღება.

	• წერითი გამოცდა სპეციალობაში; • გასაუბრება. **მისაღები გამოცდების ფორმატი, საბოლოო ქულების გამოყვანის სტრუქტურა და კრიტერიუმები** (სპეციალობის გამოცდის და გასაუბრების)[2]**:** • საერთო სამაგისტრო გამოცდა - საკმარისია გამოცდების ეროვნული ცენტრის მიერ დადგენილი ბარიერების წარმატებით გადალახვა (მინიმალური ზღვარი); • გამოცდა ან შესაბამისი სერტიფიკატი უცხოურ ენაში, ინგლისური ენა, B2 დონე, (40 %) - გამოცდის შემთხვევაში მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); • წერითი გამოცდა სპეციალობაში (40 %) - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან); • გასაუბრება სპეციალობაში - საერთო შეფასების 20 % - მინიმალური ზღვარი 51 ქულა (100 ქულიდან). სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე უცხო ქვეყნის მოქალაქეების ჩარიცხვა, ან გადმოყვანის წესით ჩარიცხვა უცხო ქვეყნის აღიარებული უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან, ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გადაწყვეტილების საფუძველზე, კანონმდებლობით დადგენილი წესის შესაბამისად. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამაზე მობილობის წესით ჩარიცხვა შესაძლებელია წელიწადში ერთხელ, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ დადგენილ ვადებში, სავალდებულო პროცედურებისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი წესების დაცვით.
საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი	**ორგანიზაციის ტრანსფორმირების და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია** სტუდენტებმა შეიძინონ შესაბამისი ცოდნა და უნარ-ჩვევები ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების კომპეტენციათა ურთიერთდაკავშირებულ შემდეგ სფეროებში:

[2] კრიტერიუმები იხილეთ სამაგისტრო პროგრამის სტრუქტურის ბოლოში დანართი № 1

	• ინდივიდუალური კომპეტენცია: თვითშემეცნება, პროფესიული ქცევა, ეთიკა, განსაკუთრებული ინდივიდუალური რესურსების, საკონსულტაციო საქმიანობისათვის მნიშვნელოვანი თვისებების, საკუთარი როლისა და ფუნქციების შეცნობა/განვითარება; • სოციალური კომპეტენცია: უნარ-ჩვევების განვითარება კრიტიკულ სიტუაციებში შესაბამისი, პროფესიული და ავთენტური რეაგირებისათვის; • კოგნიტური კომპეტენცია: თეორიული საფუძვლები ადამიანის ხატის, პიროვნების თეორიების, ორგანიზაციის თეორიების, სოციალური, სასწავლო და საკონსულტაციო პროცესების შესახებ; • ტექნიკური კომპეტენცია: კონცეფციები, მეთოდები, დაგეგმვის პრაქტიკული ტექნიკა, ორგანიზაციებში პროცესუალურ ცვლილებათა განხორციელება და მათი ევალუაცია; • პრაქტიკული კომპეტენცია: პროექტის მენეჯმენტი, გამოცდილებაზე დაფუძნებული სწავლება და გამოცდილების გაცვლა სტუდენტებს ინტერვენციულ უნარ-ჩვევებს გამოუმუშავებს, რათა მათ სტრატეგიების პრაქტიკული განხორციელება, ასევე კონკრეტულ სიტუაციებში მეთოდებისა და ტექნიკის მოდიფიცირება შეძლონ; • კვლევითი კომპეტენცია: სამაგისტრო ნაშრომის შესრულებით, ინდივიდუალური კვლევის განხორციელების უნარ-ჩვევების გამომუშავება ორგანიზაციის ტრანსფორმირების სფეროში.
სწავლის შედეგები	**სამაგისტრო პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული:** ***ცოდნა და გაცნობიერება*** ➢ სიღრმისეულად აღწერს და დეტალურად განმარტავს ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების თეორიებსა და კონცეფციების

	მეცნიერულ საფუძვლებს, მეთოდებსა და მიდგომებს. ***უნარები*** ➢ კრიტიკულად აანალიზებს ორგანიზაციის ტრანსფორმირების გავლენას ქვეყნის და მსოფლიო საზოგადოების განვითარებაზე, შესაბამისად კომპლექსურად იყენებს ორგანიზაციის ტრანსფორმირების საფუძვლებსა და კონცეფციებს ორგანიზაციული პროცესების შესწავლისთვის; ➢ კვლევის შედეგად მიღებულ მონაცემებზე დაყრდნობით არგუმენტირებულად მსჯელობს ორგანიზაციის სოციალური, ფსიქოლოგიური და ეთიკური ასპექტების შესახებ; წარმოადგენს კონკრეტულ ნაშრომს დასაბუთებული მსჯელობის, ეთიკური პრინციპების დაცვითა და ტექნოლოგიების გამოყენებით. ➢ დამოუკიდებლად იკვლევს ორგანიზაციებს და შეუძლია დაადგინოს მათი განვითარების დონე და ჩაუტაროს მათ სრულფასოვანი კონსულტაცია; ➢ კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების საფუძველზე ხარისხიანად ახორციელებს ორგანიზაციულ ცვლილებებს ქოუჩინგის, ორგანიზაციის მართვის დაორგანიზაციული კულტურის ინსტრუმენტების გამოყენებით; ***ავტონომიურობა და პასუხისმგებლობა*** ➢ მოქმედებს პროფესიული ეთიკის პრინციპებით, იცავს კონფიდენციალურობას და აღიარებს კულტურულ მრავალფეროვნებასა და განსხვავებებს; ➢ აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების გათვალისწინებით ახდენს ახალი ცოდნისა და იდეების გენერირებას და აწვდის ობიექტურ რეკომენდაციებს დაინტერესებულ ჯგუფებს.
სწავლება-სწავლის მეთოდები	ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლების პროცესის ორგანიზება იმ მეთოდების გამოყენებას

	გულისხმობს, რომელიც უზრუნველყოფს მაგისტრის აკადემიური ხარისხის შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მიღწევას. სამაგისტრო პროგრამაში გამოყენებული სწავლა-სწავლების მეთოდებია: • **წიგნზე მუშაობა** - თეორიული მასალების (სალექციო და საპრეზენტაციო) დამუშავება; სხვადასხვა წიგნებში გადმოცემული შეხედულებების, კონცეფციების ან მიღებული მონაცემების და ფაქტებზე დაყრდნობით საკითხების კრიტიკულად განხილვა; • **ახსნა-განმარტების მეთოდი** - სწავლების პროცესში განსახილველი საკითხის ირგვლივ მსჯელობით მიიღწევა მასალის დაუფლება. ლექტორი მენტორის როლშია, კონკრეტული მაგალითები მოჰყავს, რაც განსახილველ თემას უკავშირდება; • **დემონსტრირების მეთოდი** - დემონსტრირდება სხვადასხვა მასალა, რომელიც შეიცავს ვერბალური, ვიზუალური და აუდიალური სტიმულებს და ტექნიკური საშუალებლებით ხორციელდება; • **წერითი მუშაობა** - წერითი კოლოკვიუმების შესრულება, ესსეს დაწერა, საპრეზენტაციო ტექსტის, აგრეთვე, კვლევითი დავალების წერილობითი ფორმით მომზადება; • **პრეზენტაცია** - წინასწარ დაგეგმილი სქემით განსახილველი თემის წარმოდგენა, რომელიც გულისხმობს ტექნიკური საშუალებების გამოყენებას, პრეზენტაციის უნარის ქონას და საპრეზენტაციო მასალის წარმოდგენას. ეს მეთოდი გულისხმობს აუდიალურ და ვიზუალურ საშუალებებით დემონსტრირებას; • **როლური თამაშები** - სწავლება ხდება გარკვეული სცენარის მიხედვით, სადაც ფრეიმები წინასწარაა განსაზღვრული და სტუდენტები გადანაწილდებიან წინასწარ გამოყოფილი როლების შესაბამისად. ასეთ პროცესში მონაწილეობა აადვილებს მასალის გაგებას და

	დაუფლებას. საკითხის დანახვა სხვადასხვა პოზიციებიდანაა შესაძლებელი; • **შემთხვევის ანალიზი (Case study)** - კროსკულტურულ კვლევებზე დაყრდნობით ლექციაზე კონკრეტული კულტურალური შემთხვევების განხილვა; მეთოდთა სწავლებისას კონკრეტული კვლევების განხილვის საფუძველზე მეთოდის გამოყენებასთან დაკავშირებული სპეციფიკური ასპექტების რეფლექსია; • **ჯგუფური, გუნდური მუშაობა** - სწავლება მცირე ჯგუფებში მიმდინარეობს, საკითხთან დაკავშირებით გადაწყვეტილებას იღებს ჯგუფი და ბოლოს ერთი წევრი სხვებს პრეზენტირებს. სწავლებისას შესალოა არსებობდეს რამდენიმე ქვეჯგუფი. ლექტორი საბოლოოდ აკეთებს შეჯამებას. ამ მეთოდით სწავლების პროცესში სტუდენთთა მაქსიმალური რაოდენობაა ჩართული; • **დისკუსია/დებატები** –მაგისტრანტთა ჩართულობის ხარისხისა და აქტივობის ასამაღლებლად, კრიტიკული აზროვნების განსავითარებლად, კამათის კულტურის ჩამოსაყალიბებლად პროფესორი წარმართავს დისკუსიას და პერიოდულად ერთვება მასში; შედეგად, სტუდენტებს უვითარდებათ აზროვნების, მსჯელობის და საკუთარი აზრის დაცვისა და დასაბუთების უნარები; • **პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL)** - პრობლემის დასმა და გამოყენება საწყის ეტაპად ახალი ცოდნის მიღებისა და კონტექსტუალიზაციისთვის; სწავლება ხორციელდება კონკრეტული პრობლემის განხილვით, რომელიც საშუალებას იძლევა სტუდენტი დაეუფლოს ახალ ცოდნას უშუალო პრაქტიკიდან; • **ელექტრონული სწავლება** (E-learning). პროფესორი შეიძლება იყენებდეს ერთ ან რამდენიმე მეთოდს, ან ნებისმიერ სხვა მეთოდს კონკრეტული სასწავლო–კვლევითი ამოცანის შესასრულებლად.

შეფასების სისტემა	სტუდენტის სემესტრის განმავლობაში გაწეული შრომის შეფასება[3] ითვალისწინებს: ა) შუალედურ (რეიტინგულ) შეფასებას; ბ) დასკვნით შეფასებას. შეფასების თითოეულ კომპონენტს შეფასების საერთო ქულიდან (100 ქულა) განესაზღვრება რაოდენობრივი მაჩვენებელი (გამოსახული ქულებში) საბოლოო შეფასებაში. დაუშვებელია კრედიტის მინიჭება შეფასების მხოლოდ ერთი კომპონენტის (შუალედური ან დასკვნითი შეფასება) გამოყენებით. **შეფასების სისტემა უშვებს:** ა) ხუთი სახის დადებით შეფასებას: ა.ა) **(A) ფრიადი** – 91-100 ქულა; ა.ბ) **(B) ძალიან კარგი** – 81-90 ქულა; ა.გ) **(C) კარგი** – 71-80 ქულა; ა.დ) **(D) დამაკმაყოფილებელი** – 61-70 ქულა; ა.ე) **(E) საკმარისი** – 51-60 ქულა. ბ) ორი სახის უარყოფით შეფასებას: ბ.ა) **(FX) ვერ ჩააბარა** – 41-50 ქულა, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტს ჩასაბარებლად მეტი მუშაობა სჭირდება და ეძლევა დამოუკიდებელი მუშაობით დამატებით გამოცდაზე ერთხელ გასვლის უფლება; ბ.ბ) **(F) ჩაიჭრა** – 40 ქულა და ნაკლები, რაც ნიშნავს, რომ სტუდენტის მიერ ჩატარებული სამუშაო არ არის საკმარისი და მას სასწავლო კურსი/საგანი ახლიდან აქვს შესასწავლი. საგანმანათლებლო პროგრამის კომპონენტში, FX-ის მიღების შემთხვევაში, დამატებითი გამოცდა დაინიშნება დასკვნითი გამოცდის შედეგების გამოცხადებიდან არანაკლებ **5 დღეში.** სტუდენტის მიერ დამატებით გამოცდაზე მიღებულ შეფასებას არ ემატება დასკვნით შეფასებაში მიღებული ქულათა რაოდენობა. დამატებით გამოცდაზე მიღებული შეფასება არის დასკვნითი შეფასება და აისახება საგანმანათლებლო

[3] სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სასწავლო პროცესის მარეგულირებელი წესი (დანართი 1 - მ.16 და მ.17)

	პროგრამის სასწავლო კომპონენტის საბოლოო შეფასებაში. დასკვნით გამოცდაზე გასვლის წინაპირობა და დამატებითი პირობები განისაზღვრება შესაბამისი სასწავლო კურსის სილაბუსის მიხედვით. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასება** *(სამაგისტრო ნაშრომის დაცვის წესის შესაბამისად)* **სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის მიერ ინდივიდუალურად შესრულებულ სამუშაოს.** **სამაგისტრო ნაშრომი ფასდება ერთჯერადად, დასკვნითი შეფასებით, 100 ქულიანი სისტემით.** სამაგისტრო ნაშრომი დაცულად ჩაითვლება და მაგისტრანტს შესაბამისი კრედიტი მიენიჭება წინასწარ დადგენილი მინიმალური ზღვარის გადალახვის შემთხვევაში (არანაკლებ 51 ქულა). მაგისტრატურის საგანმანათლებლო პროგრამის სამეცნიერო-კვლევით კომპონენტში - **(FX) (ვერ ჩააბარა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტს უფლება ეძლევა გადამუშავებული სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტი წარადგინოს მომდევნო სემესტრის განმავლობაში, ხოლო - **(F) (ჩაიჭრა)** შეფასების მიღების შემთხვევაში მაგისტრანტი კარგავს იგივე სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის წარდგენის უფლებას.“ კომისიის გადაწყვეტილება საბოლოა. **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების ფორმები:** • აქტუალობა - 5 ქულა • კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა • ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა • ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა • ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა • ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა სულ - 100 ქულა **სამაგისტრო ნაშრომის შეფასების კრიტერიუმები:**

	ა) აქტუალობა - 5 ქულა (ფასდება თემის აქტუალობა და სიახლე). **ბ) კვლევის მეთოდოლოგია - 20 ქულა** (ფასდება მიზნებისა და ამოცანების ადეკვატურობა, საკვლევი კითხვის/ჰიპოთეზის გამართულობა, დამოკიდებულ და დამოუკიდებელ ცვლადებს შორის მიმართებების დადგენის სისწორე (საჭიროების შემთხვევაში), გამართული და კვლევის მიზანთან მისადაგებული კვლევის დიზაინი, ემპირიული მონაცემების ანალიზის სრულყოფილად წარმოდგენა). **გ) ლიტერატურის მიმოხილვა და თეორიული კომპონენტი - 20 ქულა** (ფასდება რელევანტური, თანამედროვე და მრავალფეროვანი ლიტერატურის, მათ შორის უცხოურენოვანი წყაროების, დამუშავების სრულყოფილება, თეორიული მასალის კრიტიკული ანალიზი). **დ) ანალიზისა და არგუმენტაციის უნარი - 30 ქულა** (ფასდება ავტორის მსჯელობის თანმიმდევრულობა, მიზეზ- შედეგობრივი კავშირების დადგენისა და ადეკვატური დასკვნების გამოტანის უნარი, დასკვნების კავშირი ძირითად ტექსტთან და მათი ლოგიკურობა). **ე) ნაშრომის ფორმალური და ენობრივ-სტილისტური მხარე - 10 ქულა** (ფასდება წარმოდგენილი ნაშრომის ენობრივი გამართულობა, აკადემიური სტილი, წყაროების მითითების სისრულე და კორექტულობა, რუკების, ცხრილების, გრაფიკების შესაბამისობა და შესრულების ხარისხი, ნაშრომის გაფორმების მოცემულ სტანდარტთან შესაბამისობა, APA/ტურაბიანის სტილის დაცვა). **ვ) ნაშრომის ვიზუალური მხარე, მომხსენებლის საპრეზენტაციო და საკომუნიკაციო უნარები - 15 ქულა** (ფასდება ნაშრომის შინაარსისა და შედეგების დემონსტრირების ვიზუალური (ტექნიკური და ესთეტიკური) მხარე, თვალსაჩინო მასალის არსებობა, მისი ადეკვატურობა და ხარისხი, პრეზენტაციის თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენება, მაგ: PowerPoint, დიგიტალური რუკები, ცხრილები,

	გრაფიკები და სხვ.); მაგისტრანტის პასუხები კითხვებსა და შენიშვნებზე). ***შენიშვნა:*** *რეცენზენტი რეკომენდაციის გაცემისას ხელმძღვანელობს ზემოთ მოცემული კრიტერიუმებით, გარდა 3) პუნქტისა.*
დასაქმების სფეროები	სამაგისტრო პროგრამის კურსდამთავრებულები კვალიფიცირდებიან როგორც კონსულტანტები ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კრიზისის მენეჯმენტის დარგში, შესაბამისად, შეუძლიათ დასაქმდნენ ნებისმიერ სასწავლო, კვლევით, მომსახურეობით და საწარმოო ორგანიზაციაში, ასევე არასამთავრობო სექტორში ორგანიზაციის ტრანსფორმირების კონსულტანტად, HR სპეციალისტად, პიროვნული და ორგანიზაციული კონსულტირების ტრენერად.
სწავლის საფასური საქართველოს მოქალაქე და უცხო ქვეყნის მოქალაქე სტუდენტებისათვის	უმაღლესი განათლების მაგისტრატურის საფეხურის სწავლის წლიური საფასური საქართველოს მოქალაქე სტუდენტებისთვის შეადგენს 2250 ლარს. სწავლის საფასური უცხო ქვეყნის მოქალაქეებისათვის განისაზღვრება საქართველოში მოქმედი კანონმდებლობით, საქართველოს ხელისუფლების მიერ დადებული და რატიფიცირებული შეთანხმებების მიხედვით.
პროგრამის განხორციელებისათვის საჭირო ადამიანური და მატერიალური რესურსი	ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების სამაგისტრო პროგრამა ხორციელდება თსუ-ს სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ფარგლებში, მაღალი კვალიფიკაციის მქონე პროფესორ-მასწავლებლებით, ადამინისტრაციული და დამხმარე პერსონალით. აკადემიური და მოწვეული პერსონალის შერჩევა ხორციელდება საქართველოს კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის მიერ დადგენილი მოთხოვნების სრული დაცვით. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის აკადემიური მიღწევები და სამეცნიერო საქმიანობა საჯარო ინფორმაციაა და ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის და ფაკულტეტის ვებ-გვერდზე.

	პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური პერსონალი: ● ნოდარ ბელქანია - პროფესორი ● რევაზ ჯორბენაძე - პროფესორი ● თეონა მატარაძე - ასოცირებული პროფესორი პროგრამის განხორციელებაში ასევე **ჩართულია 12 მოწვეული პერსონალი (მათ შორის 8 უცხოელი)** და ფაკულტეტის ადმინისტრაციის სტრუქტურული ერთეულების თანამშრომლები[4] (მათ შორის ორი მაგისტრატურის საფეხურის ტუტორი). **პროგრამის მატერიალურ-ტექნიკურ მუშაობას უზრუნველყოფს:** ● თსუ-ს კომპიუტერული ბაზები; ● თსუ-ს და ფაკულტეტის რესურს–ცენტრები; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიბლიოთეკა (თსუ-ს III კორპუსი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №11); ● ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიბლიოთეკები (ცენტრალური საუნივერსიტეტო ბიბლიოთეკა, უნივერსიტეტის ქუჩა №11; შოთა რუსთაველის სახელობის სამკითხველო დარბაზი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1, I კორპუსი); ● თსუ-ს ელექტრონული სწავლების პლატფორმა; ● თსუ-ს სტუდენტებს და პროფესორ-მასწავლებლებს შეუზღუდავი და ულიმიტო წვდომა აქვთ ელექტრონულ ბაზებსა და ჟურნალებზე: EBSCO Publishing, Cambridge University Journals, JStor, Scopus და სხვ.; ● სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (თსუ -ს VI კორპუსი და ფიზიკის ინსტიტუტი). პროგრამის ფარგლებში სასწავლო პროცესი მიმდინარეობს თსუ I და VI კორპუსებში, რომლებიც განთავსებულია თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირზე № 1 და 8 ნომრებში.

[4] ფაკულტეტის ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალის საერთო შემადგენლობაა 47. ფაკულტეტზე სასწავლო და სამეცნიერო მუშაობა ცენტრალიზებულია (მოქმედებს ერთი ფანჯრის პრინციპით) და პერსონალი თითოეულ სტუდენტს უწევს კოორდინირებას.

პროგრამის ფინანსური უზრუნველყოფა	პროგრამა ფინანსურად უზრუნველყოფილია ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტის ბიუჯეტით.
აკადემიური კეთილსინდისიერება	აკადემიურ კეთილსინდისიერებას ძალიან დიდი ყურადღება ექცევა აღნიშნული პროგრამის ფარგლებში. • სტუდენტმა უნდა წარმოადგინოს დამოუკიდებლად მომზადებული დავალება, ნაშრომი, რომელშიც აკადემიური სტილის დაცვით მითითებული იქნება, თუ ვის ეკუთვნის ესა თუ ის იდეა და/ან სიტყვები; • სტუდენტმა არ უნდა გამოიყენოს ნაშრომი და/ან ნაშრომის ნაწილი, რომელიც სხვა სასწავლო კურსისთვის მოამზადა; ასევე არ უნდა გააყალბოს მონაცემები ან სხვა სახის ინფორმაცია, და არ უნდა გადაიწეროს ნაშრომი. იმ შემთხვევაში თუ რომელიმე ზემოთხსენებული ქმედება დაფიქსირდა, სტუდენტს დაეკისრება ეთიკის კოდექსით განსაზღვრული დისციპლინური პასუხისმგებლობა აკადემიური კეთილსინდისიერების პრინციპების დარღვევის გამო, რომლებიც აკადემიური განათლების განუყოფელი ნაწილი და უნივერსიტეტის ფუნდამენტური ღირებულებაა. სამაგისტრო ნაშრომი მოწმდება პლაგიატზე ელექტრონული პროგრამა „Turnitin”-ის გამოყენებით. ამ მიზნით სამაგისტრო ნაშრომის დაცვამდე მაგისტრანტი დასრულებული ნაშრომის ელექტრონულ ვერსიას, პლაგიატზე შესამოწმებლად, ატვირთავს სპეციალურ ბმულზე, რომელიც მიბმულია თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ელექტრონული სწავლების პორტალზე აკადემიური კეთილსინდისიერების პოლიტიკის დოკუმენტი:
დამატებითი ინფორმაცია (საჭიროების შემთხვევაში)	ინტერდისციპლინური სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა **ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება,** აკრედიტებულია და საქართველოში მხოლოდ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტში ხორციელდება (2009

	წლიდან). მოცემული სამაგისტრო პროგრამა აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს და ითვალისწინებს უმაღლესი განათლების შესაბამისი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამის მოთხოვნებს. სამაგისტრო პროგრამა, რომელიც შემუშავდა უცხოური ანალოგიური პროგრამების[5] ბაზაზე, წარმოადგენს უნიკალურ პროგრამას თავისი შინაარსითა და სტრუქტურით და ის პირველია, რომელიც ახორციელებს ქოუჩინგის სწავლებას საქართველოში. პროგრამამ ასევე პრეცენდენტი შექმნა ორგანიზაციული ტრანსფორმაციის სწავლების მიმართულებით და ამდენად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა ორგანიზაციული ტრანსფორმირების როგორც სპეციალიზაციის დამკვიდრებაში საქართველოში. პროგრამაზე მიღება ხდება ორ წელიწადში ერთხელ და მისაღები სტუდენტების რაოდენობა შეადგენს მაქსიმუმ 20 სტუდენტს.

- [5] პროგრამის ანალოგები: **მანჩესტერის უნივერსიტეტის** გარემოს, განათლების და განვითარების სკოლის სამაგისტრო პროგრამა „ორგანიზაციული ცვლილება და განვითარება“ https://www.manchester.ac.uk/study/masters/courses/list/02303/msc-organisational-change-and-development/all-content/#course-profile **ჯორჯ ვაშინგტონის უნივერსიტეტის სამაგისტრო პროგრამა** “განათლება და ადამიანური განვითარება ორგანიზაციულ ლიდერობასა და სწავლებაში”. **https://gsehd.gwu.edu/masters-oll** ესექსის უნივერსიტეტი, ორგანიზაციული ცვილებების მმართვა - **University of Essex, MSc Organisational Change Management Colchester, United Kingdom,** https://www.masterstudies.com/institutions/university-of-essex-2/msc-organisational-change-management **(Master of Sciences) (მეცნიერებათა მაგისტრი)**

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

სასწავლო გეგმა

ფაკულტეტი: სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა

მიმართულება: ინტერდისციპლინური

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება: ორგანიზაციის ტრანსფორმირება და კონსულტირება

სწავლების საფეხური: მაგისტრატურა

კრედიტების რაოდენობა: 120 ECTS

საგანმანათლებლო პროგრამის ხელმძღვანელი: ნოდარ ბელქანია, პროფესორი (თსუ)

ფრიდრიხ გლაზლი, პროფესორი (ზალცბურგის უნივერსიტეტი, ავსტრია)

კოორდინატორი: ნოდარ ბელქანია, პროფესორი

აკადემიური საბჭოს მიერ სასწავლო პროგრამის დამტკიცების თარიღი, დადგენილების ნომერი: 03/02/2025; №11/2025 (დანართი 326)

პროგრამის აკრედიტაცია (გადაწყვეტილების ნომერი, აკრედიტაციის ვადა და ბმული): 18/08/2025 - 18/08/2028 №1065061
https://eqe.ge/ka/decisions/14491/show

სასწავლო პროგრამის ამოქმედების თარიღი (სასწავლო წელი): 2025-2026 შემოდგომის სემესტრი

პროგრამაში განხორციელებული ცვლილებები (თსუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილების ნომერი და თარიღი): №18/2026-27/02/2026.

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

პროგრამის სტრუქტურა

სასწავლო კურსების / მოდულების ტიპი: საფაკულტეტო / სავალდებულო / არჩევითი 120 კრედიტი (ECTS)														
სავალდებულო სასწავლო კურსები: 75 კრედიტი (ECTS) სამაგისტრო ნაშრომი: 30 კრედიტი (ECTS)														
№	კოდი	სასწავლო კურსის სახელწოდება	ECTS	სტუდენტის საათობრივი დატვირთვა					სასწავლო კურსზე დაშვების წინაპირობა	სწავლების სემესტრი				ლექტორი /ლექტორები
				საკონტაქტო		შუალედური და დასკვნითი გამოცდები	სტუდენტის დამოუკიდებელი მუშაობის	სულ		I	II	III	IV	
				ლექცია	სემინარი/ სამუშაო ჯგუფი									
1		ორგანიზაციის თეორია	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				ნოდარ ბელქანია
2		ქოუჩინგი 1 (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				ერიკა ბერგნერი
3		ჯგუფის დინამიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე	✓				რევაზ ჯორბენაძე
4		სოციალური კონფლიქტები 1 (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე	✓				ფრიდრიხ გლაზლი ინგო ბირინგერი
5		სოციალური კონფლიქტები 2[6] (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	სოციალური კონფლიქტები 1	✓				ფრიდრიხ გლაზლი ინგო ბირინგერი

[6] სოციალური კონფლიქტები 2 (ინტენსიური კურსი) წაიკითხება იმავე სემესტრში სოციალური კონფლიქტები 1-ს დასრულების შემდეგ.

6		ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია	5	15	30	5	75	15	წინაპირობის გარეშე	✓				ნოდარ ბელქანია
7		ქოუჩინგი 2 (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	ქოუჩინგი 1		✓			ერიკა ბერგნერი
8		ორგანიზაციული ქცევა	5	15	30	5	75	125	ორგანიზაციის თეორია		✓			ნოდარ ბელქანია
9		ორგანიზაციის ტრანსფორმირება 1 (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			ოლივერ მარტინი
10		ორგანიზაციის ტრანსფორმირება 2 (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე		✓			ედოარდო გიდელი
11		ბიოგრაფიკა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		√			ნოდარ ბელქანია
12		ადამიანური რესურსების განვითარება	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე			✓		ია წულაია
13		კონსულტირების ფილოსოფიური და ეთიკური საფუძვლები	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე			✓		ფრიდრიხ გლაზლი ნოდარ ბელქანია
14		სოციალური კვლევის მეთოდები	5	30	15	5	75	125	წინაპირობის გარეშე			✓		თეონა მატარაძე
15		ინტერპერსონალური კომუნიკაციის პრაქტიკა	5	15	30	5	75	125	ინტერპერსონალური კომუნიკაციის ფსიქოლოგია			✓		ნოდარ ბელქანია
16		სამაგისტრო ნაშრომი	30	60			690	750	მინიმუმ 80 კრედიტი[7] (მათ შორის ყველა სავალდებულო სასწავლო კურსი)				✓	სამაგისტრო პროგრამის აკადემიური და მოწვეული პერსონალი
არჩევითი სასწავლო კურსები: 15 კრედიტი (ECTS)														
17		ორგანიზაციის კონსულტირება არაკომერციულ ორგანიზაციებში	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			უჩა ვარამაშვილი
18		კონფლიქტების მართვის სტრატეგიები ორგანიზაციაში (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓		ფრიდრიხ გლაზლი

[7] გათვალიწინებულია დამამთავრებელ სემესტრში 40 კრედიტის აღების შესაძლებლობა.

19		პროექტის ციკლის მართვა	5	15	15	5	90	125	წინაპირობის გარეშე			✓		ირინა ფრუიძე
20		ბაზარზე ორიენტირებული ორგანიზაციის ტრანსფორმირება (ინტენსიური კურსი)	5	15	15	4	91	125	წინაპირობის გარეშე			✓		გიუნტერ კარნერი
21		ლიდერობა	5	15	30	5	75	125	წინაპირობის გარეშე		✓			გვანცა ბარაბაძე
22		ქალაქების ორგანიზაციული განვითარება	5	24	21	4	76	125	წინაპირობის გარეშე		✓			ზურაბ ბაქრაძე

პროგრამის ხელმძღვანელის / ხელმძღვანელების / კოორდინატორის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის სასწავლო პროცესის მართვის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

ფაკულტეტის დეკანის ხელმოწერა _____

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის ხელმოწერა _____

თარიღი _____ ფაკულტეტის ბეჭედი

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

დანართი № 1

გამოცდა სპეციალობაში (40 %)

სპეციალობაში გამოცდა ტარდება წერითი ფორმით. შეფასების მაქსიმალური ქულაა 100. აპლიკანტს საკითხების ნუსხიდან მიეცემა 4 საკითხი. თითოეული საკითხის „წონაა“ 25 ქულა. შესაბამისად, სპეციალობაში გამოცდის საფუძველზე სტუდენტი დააგროვებს მაქსიმუმ 100 ქულას.

საკითხის ცოდნა და ანალიზი (25 ქულა)

- პასუხი არ შეესაბამება საკითხს ან/და პასუხი არ არის წარმოდგენილი (0 ქულა)
- საკითხში თითქმის არ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა და ანალიზი (1-3 ქულა)
- საკითხში ნაკლებად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა და ანალიზი (4-7 ქულა)
- საკითხში ნაწილობრივ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი (8-11 ქულა)
- საკითხში მეტწილად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი, საკითხები ნაწილობრივაა გაანალიზებული (12-15 ქულა)
- საკითხში მეტწილად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ცოდნა და ანალიზი, საკითხები მეტწილად გაანალიზებულია (16 -19 ქულა)
- საკითხში ძირითადად ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის ფლობა, მეტწილად გაანალიზებულია საკითხი (20-22 ქულა)
- საკითხში მკაფიოდ ჩანს წარმოდგენილ თემაზე არსებული მასალის სრულყოფილი ცოდნა და ამომწურავად არის საკითხი გაანალიზებული (23-25 ქულა)

გასაუბრება სპეციალობაში (20 %)

გასაუბრება (შეფასების მაქსიმალური ქულაა 100). შეფასდება შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით: სტუდენტის მოტივაცია და პროფესიული ინტერესები და მიზნები:

სტუდენტის მოტივაცია 50 ქულა

- სტუდენტის მოტივაცია სრულიად თანხვედრაშია ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (max.10 ქულა)
- სტუდენტის მოტივაცია მეტწილად თანხვედრაშია ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (max.10 ქულა)
- სტუდენტის მოტივაცია ნაწილობრივ თანხვედრაშია ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (max.10 ქულა)
- სტუდენტის მოტივაცია ნაკლებად თანხვედრაშია ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებთან (max.10 ქულა)
- სტუდენტის მოტივაცია არ შეესაბამება ორგანიზაციის ტრანსფორმირებისა და კონსულტირების პროგრამის მიზნებს (max.10 ქულა)

პროფესიული ინტერესები და მიზნები - 50 ქულა

- სტუდენტს აქვს სრულიად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის ტრანსფორმირებასა და კონსულტირებაში (max.10 ქულა)
- სტუდენტს აქვს მეტწილად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის ტრანსფორმირებასა და კონსულტირებაში (max.10 ქულა)
- სტუდენტს აქვს ნაწილობრივ ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის ტრანსფორმირებასა და კონსულტირებაში (max.10 ქულა)
- სტუდენტს აქვს ნაკლებად ჩამოყალიბებული პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის ტრანსფორმირებასა და კონსულტირებაში (max.10 ქულა)
- სტუდენტს არ აქვს პროფესიული ინტერესები და მიზნები ორგანიზაციის ტრანსფორმირებასა და კონსულტირებაში (max.10 ქულა).